



## საგრანტო პროგრამის ფარგლებში ხშირად დასმული კითხვები

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის - RDFG და თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფი „ლაგი“ აცხადებს საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში.

**საგრანტო კონკურსის მეორე გამოცხადების ფარგლებში, საპროექტო იდეების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 22 ივლისის 18:00 საათი.  
დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება!**

საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული, 2018 – 2022 წწ. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, მათ შორის:

- ❖ *გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა და კატასტროფის რისკის შემცირება*
- ❖ *სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ინიციატივების კონკურენტუნარიანობისა და მოდერნიზების მხარდაჭერა*
- ❖ *სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა*
- ❖ *სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია*

*საგრანტო კონკურსის ფარგლებში პრიორიტეტი მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებიც ემსახურება განათლების ხელმისაწვდომლობის გაუმჯობესებას, არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში სიახლეების დანერგვას ან/და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვით პრობლემების გადაწყვეტას.*

საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადები უნდა შეესაბამებოდეს თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას და ხელს უწყობდეს მის განხორციელებას. სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების, ასევე სავარაუდო აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ვებგვერდზე (<http://tetrtskarolag.ge/strategy-ge/>) ან მიიღოთ RDFG-ისა და თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ოფისში, სოფელი ჯორჯიამვილი, ბოგვი-ჯორჯიამვილის გზატკეცილი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.



**1. ვის შეუძლია საგრანტო კონკურსში მონაწილეობა?**

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც სრულწლოვან ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, ასევე საქართველოში რეგისტრირებულ ნებისმიერ იურიდიულ პირსა და სახელმწიფო უწყებას/მის წარმომადგენლობებს, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

**2. რა ტერიტორიას მოიცავს საგრანტო კონკურსი?**

საგრანტო კონკურსი მოიცავს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს და მის ფარგლებში შემავალ ყველა თემსა და სოფელს.

**3. რა ოდენობის დაფინანსების მიღებაა შესაძლებელი საგრანტო კონკურსის**

**4. ფარგლებში და როგორ განისაზღვრება თანამონაწილეობა?**

საგრანტო კონკურსის ფარგლებში თითოეულ პროექტზე შესაძლებელია მაქსიმუმ 60,000 და მინიმუმ 1,000 ევროს (ექვივალენტით ლარში) ოდენობის დაფინანსების მიღება. საგრანტო კონკურსში სავალდებულოა თანამონაწილეობა, რომლის ოდენობა იცვლება აპლიკაციის სახეობის მიხედვით:

- სოციალური პროექტები - პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულების **10%**, გარდა საჯარო სექტორის მიერ წარმოდგენილი პროექტებისა;
- სამეწარმეო პროექტები - პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულების **30%**;
- საჯარო სექტორის პროექტები - პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულების **40%**.

**საგრანტო განაცხადი არ განიხილება, თუ შემოთავაზებული თანამონაწილეობა დადგენილ კრიტერიუმზე დაბალია!**

**5. რა იგულისხმება სოციალურ პროექტებში?**

სოციალურ პროექტებში იგულისხმება ნებისმიერი საგანმანათლებლო, ცნობიერების ამაღლების, ადვოკატირების, საზოგადოებრივი სარგებლობის ინფრასტრუქტურული და გარემოსდაცვითი, და ა.შ. ინიციატივები რომლებიც არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე და ასევე ნებისმიერი სამეწარმეო ხასიათის პროექტები, რომელთა საერთო საინვესტიციო ღირებულება არ აღემატება **2500** ევროს ექვივალენტს ლარში.



**6. თანამონაწილეობაში ითვლება თუ არა არსებული ქონება ან/და ადამიანის შრომა?**

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, თანამონაწილეობაში ჩაითვლება მხოლოდ ფულადი რესურსები ან/და შესყიდვები, რომელიც განხორციელებული იქნება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, განაცხადის ბიუჯეტის მიხედვით. თანამონაწილეობაში არ ჩაითვლება არასაინვესტიციო ხარჯები.

**7. როგორ შევავსოთ განაცხადი, სად შეიძლება განაცხადების მიღება და ჩაბარება?**

განაცხადები მიიღება ორი ფორმით:

1. განაცხადების შევსება და გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: <http://tetriskarolag.ge/forma/> და
2. განაცხადების ჩაბარება ნაბეჭდი სახით, შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: **RDFG-ისა და თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ოფისი, სოფელი ჯორჯიაშვილი, ბოგვი-ჯორჯიაშვილის გზატკეცილზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.** ამობეჭდილი სახით განაცხადების წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადის ელექტრონული ვერსიაც (მაგ. დისკზე ჩაწერილი ან მეხსიერების ბარათით). ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიების იდენტურობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

**თანდართული დოკუმენტაციის შემთხვევაში დასათაურება უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს!**

**ხელით შევსებული განაცხადები არ მიიღება!**

**8. რა საბუთებია საჭირო საპროექტო განაცხადის წარმოსადგენად?**

შერჩევის პირველ ეტაპზე განმცხადებელი ავსებს საპროექტო იდეის ფორმას, რომელიც შემუშავებულია თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის „ლაგი“ს აქტიური ჩართულობით. აღნიშნულ ფორმას თან უნდა ერთვოდეს, შემდეგი დოკუმენტაცია:

- ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფის შემთხვევაში, ფიზიკური პირის ან/და ჯგუფის ყველა წევრის პირადობის მოწმობის ასლი/ები;
- იურიდიული პირის შემთხვევაში, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- პროექტის განხორციელების ადგილის (მიწის ნაკვეთი / შენობა-ნაგებობა) საკუთრების დამადასტურებელი, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ხოლო თუ აღნიშნული არ არის აპლიკანტის საკუთრებაში, მასზე



ოპერირების კანონიერი უფლება, მინიმუმ 5 წლის ვადით (მაგ. გრძელვადიანი იჯარა და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დოკუმენტი არ იქნება წარმოდგენილი, პროექტი არ განიხილება!

შერჩევის მეორე ეტაპზე წარმატებით გადასვლის შემთხვევაში განმცხადებელს მოეთხოვება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდებათ სპეციალური ტრენინგების მსვლელობისას.

### 9. რამდენი ეტაპისგან შედგება საგრანტო კონკურსი?

საგრანტო კონკურსი მოიცავს სამ ძირითად ეტაპს, ესენია:

- ✓ **იდეების კონკურსი** - აღნიშნულ ეტაპზე მოხდება მხოლოდ პროექტის იდეების განხილვა და შედეგების გამოვლენა. შერჩეულ აპლიკანტებს მომდევნო ეტაპის გამოცხადებამდე ჩაუტარდება ტრენინგები სრული საგრანტო განაცხადის ფორმის შევსებასთან და მასში მითითებულ თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით.
- ✓ **სრული საგრანტო განაცხადების კონკურსი** - აღნიშნული ეტაპი, შედგება სხვადასხვა ფაზებისგან: 1. ფაზა გულისხმობს სრული საგრანტო განაცხადების განხილვასა და შერჩეული განაცხადების გამოვლენას; 2. ფაზის ფარგლებში განხორციელდება შერჩეული განაცხადების სავლე მონიტორინგი და 3. ფაზა მოიცავს პერსონალურ გასაუბრებას, სადაც მონიტორინგის ფაზაში შერჩეულ აპლიკანტები თვითონ წარადგენენ და დაცვენ საგრანტო განაცხადებს.
- ✓ **პროექტის განხორციელება და მონიტორინგი** - გახლავთ საგრანტო კონკურსის ბოლო ეტაპი, როდესაც ფორმდება ხელშეკრულება, იწყება განაცხადის ბიუჯეტის მიხედვით შესყიდვები. დაფინანსებული პროექტები ექვემდებარებიან მონიტორინგს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის მიხედვით.

### 10. ვინ და როგორ განახორციელებს შესყიდვებს?

საგრანტო პროგრამით მოთხოვნილი რესურსების მიწოდებას განახორციელებს ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის, RDFG ევროკავშირისა და შიდა რეგულაციების მიხედვით, მას შემდეგ რაც აპლიკანტი შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და შეისყიდის თანამონაწილეობის ფარგლებში გაწერილ საქონელსა და მომსახურებას. აღნიშნული დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციით.

პროექტიდან მოთხოვნილი საგრანტო რესურსები განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან.





### 11. ვინ განიხილავს საგრანტო განაცხადებს?

საგრანტო განაცხადებს განიხილავს, შეფასების კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის საერთო კრებისა და პროექტის განმახორციელებელი კონსორციუმის წარმომადგენლებისგან. განხილვის პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სპეციფიური დარგის ექსპერტი მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით (მათ არ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში).

### 12. შეუძლია თუ არა შეფასების კომისიის წევრს საგრანტო კონკურსში მონაწილეობა?

შეფასების კომისია არის როტაციული და აირჩევა კონკრეტული საგრანტო კონკურსის ფარგლებში. შეფასების კომისიის წევრს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს იმ საგრანტო კონკურსში, რომლის შეფასებასაც ახორციელებს.

### 13. რა სახის საქმიანობაზე გაიცემა და არ გაიცემა გრანტები?

საგრანტო პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი სახის საქმიანობა/ები:

1. უძრავ ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობა) შეძენა;
2. შინაური ცხოველის (პირუტყვის) და ფრინველის შესყიდვა;
3. საბრუნავი საშუალებების შესყიდვა (მაგ. სასურსათო მაღაზიის შემთხვევაში, გასაყიდი საქონელი);
4. ინვესტიციის განხორციელების შემდგომ გასაცემი ხელფასები;
5. ცალკეული პირების/პირთა ჯგუფის დაფინანსება სემინარებზე, კონფერენციებსა და კონგრესებში მონაწილეობის მიღების მიზნით;
6. ისეთი ქმედებები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ცალკეული პირების ან ჯგუფების დისკრიმინაცია;
7. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ევროკავშირის რეგულაციებით არის აკრძალული.

### 14. რა სახის საქონლისა და მომსახურების შეძენა არის ნებადართული საგრანტო კონკურსის ფარგლებში?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში განსაზღვრულია დასაშვები და დაუშვებელი ხარჯების ნუსხა. დასაშვებ ხარჯებს განეკუთვნება:

- სამშენებლო მასალები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და სხვა რესურსები;



- საყოფაცხოვრებო მომსახურებისთვის და კვების მრეწველობისთვის საჭირო ინვენტარი;
- მწარმოებელთათვის სასოფლო-სამეურნეო/ბიზნეს გამოფენებისა და ბაზრობების მოწყობა და მათში მონაწილეობის საფასური;
- საგანმანათლებლო, ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების კამპანიების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და სერვისები;
- ნებისმიერი სხვა საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის მითითებული დაუშვებელი ხარჯებისა და საქმიანობის ნუსხაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზემოხსენებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. გრანტით გათვალისწინებული შესყიდვა საჭიროებით და გონივრულობით უნდა იყოს განპირობებული.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაუშვებელია შემდეგი სახის საქონლისა და მომსახურების შეძენა:

1. სესხები და სესხის მომსახურების ხარჯები;
2. დანაკარგების ან სავარაუდო სამომავლო ვალდებულებების რეზერვები;
3. საპროცენტო გადახდები;
4. მიმდინარე საბრუნავი საშუალებები (საბრუნავი ხარჯები);
5. სასესხო საშუალებები/კრედიტი მესამე მხარეებზე;
6. ბენეფიციარის მიერ დეკლარირებული და სხვა პროექტით ან სამუშაო პროგრამით დაფარული ხარჯები;
7. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

ასევე არ დაფინანსდება ის ინიციატივები, რომლებიც მომდევნო 2 (ორი) წლის განმავლობაში ვერ მიაღწევენ სრულ შედეგს!

**15. შესაძლებელია თუ არა განმცხადებელმა წარადგინოს ერთზე მეტი საპროექტო განაცხადი?**

შესაძლებელია მხოლოდ იდეების კონკურსის ეტაპზე, თუმცა დასაფინანსებლად შერჩეულ იქნება მხოლოდ ერთი განაცხადი.

**16. შესაძლებელია თუ არა პროექტის განხორციელება, ადგილას (მიწის ნაკვეთი/შენობა-ნაგებობა) რომელიც არ არის აპლიკანტის საკუთრება?**

პროექტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რეგისტრირებულ ადგილას (მიწის ნაკვეთი / შენობა-ნაგებობა), რომელიც აპლიკანტის საკუთრებაშია



ან/და აპლიკანტს აქვს მასზე ოპერირების კანონიერი უფლება, მინიმუმ 5 წლის ვადით (მაგ. რეესტრში რეგისტრირებული გრძელვადიანი იჯარა და ა.შ.)

### 17. ვინ იგულისხმება პროექტის პარტნიორებში?

პროექტის პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ასევე იურიდიული პირები და სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას პროექტის განხორციელებაში. პროექტში უშუალოდ მონაწილეობის მიღება წარმოადგენს ფინანსურ, მატერიალურ ან ინტელექტუალურ (საავტორო უფლება, სპეციფიკური ექსპერტიზა, ლიცენზია ან სხვა) წვლილის შეტანას განხორციელებაში. პარტნიორების პასუხისმგებლობები და უფლებები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებების წარმოდგენით.

### 18. რა ვადაში იქნება ხელმისაწვდომი პირველადი შედეგები?

საგრანტო განაცხადის იდეის ეტაპზე, შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ვებგვერდზე (<http://tetriskarolag.ge/forma/>), ასევე RDFG-ისა და თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ოფისში, ზემოთხსენებულ მისამართზე, საგრანტო კონკურსის დახურვიდან ორი თვის ვადაში.

პროექტის იდეის განცხადების ფორმები და მისი შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია როგორც თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ვებგვერდზე (<http://tetriskarolag.ge/forma/>), ასევე RDFG-ისა და თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ოფისში, ზემოთხსენებულ მისამართზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის, მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ნომერზე: **599 847857** ან/და მოგვწეროთ [tetriskarolag@gmail.com](mailto:tetriskarolag@gmail.com) [enpard@rdfg.ge](mailto:enpard@rdfg.ge)

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის: საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო, ხშირად დასმული კითხვები, განთავსდება ევროკავშირის ENPARD პროგრამის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.enpard.ge](http://www.enpard.ge), თეთრიწყაროს განვითარების ჯგუფის ვებგვერდზე: [www.tetriskarolag.ge](http://www.tetriskarolag.ge) და ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის RDFG-ის ვებგვერდზე: [www.rdfg.ge](http://www.rdfg.ge).

პროექტს ახორციელებს ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის RDFG, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD II ფარგლებში. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები არიან აგრო-ტექნოლოგიების ასოციაცია ATA და ლიტვის ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ქსელი VVTG.